BTU | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

2025 წლის

ანგარიში

BTU

2025 წლის ანგარიში

- გაიხსნა BTU-ს ახალი კამპუსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური ლაბორატორიებით, აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით და მრავალფუნქციური სტუდენტური სივრცეებით.

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ევროკავშირის წამყვანი ციფრული ინოვაციისა და განათლების პლატფორმა EIT Digital-ისგან ევროპაში „წლის ტრენერის“ ჯილდო მოიპოვა.

- UNESCO-მ BTU-ს პროექტი „AI4Globe” საერთაშორისო მეცნიერების ათწლეულის გავლენიან ინიციატივათა სიაში შეიყვანა.

- “ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში” - გახდა გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების ქსელის გამარჯვებული ხარისხიანი განათლების კატეგორიაში.

- ქალთა გაძლიერების პრინციპების ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღიარება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობისთვის.

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2025 გამარჯვებული გახდა.

- BTU-ში საქართველოს ტექ ოლიმპიადების ჰაბი დაფუძნდა. ჰაბი უზრუნველყოფს ეროვნული ნაკრებების მონაწილეობას და მომზადებას შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიადებზე:საქართველოს მოსწავლეთა ოლიმპიადა ინფორმატიკაში (OLYINFO); ევროპის გოგონათა ოლიმპიადა ინფორმატიკაში (EGOI); ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა ინფორმატიკაში (EJOI); ხელოვნური ინტელექტის საერთაშორისო ოლიმპიადა (IOAI); ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადა (IOI).

- BTU-ს სტუდენტებისთვის საგრანტო ფონდი შეიქმნა, ფონდის რესურსი მოხმარდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული წარმატებული სტუდენტების სწავლის ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას.

- BTU-ს სამმა ახალმა პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, მათ შორის: საბაკალავრო პროგრამამ - ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში, ციფრული მარკეტინგის ერთ- და ორწლიანმა სამაგისტრო პროგრამებმა.

- ACCA-ს აკრედიტაცია - განმეორებით, ახალი ვადით მიიღო ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამამ ახალი ვადით ხელახლა მიიღო.

- მუშაობა მიმდინარეობს ახალ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი” და “ბიზნესის ადმინისტრირება.”

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ტრენინგ ცენტრი დაფუძნდა, რომელიც თანამედროვე სასწავლო პლატფორმას წარმოადგენს და აერთიანებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების სფეროს უახლეს მიმართულებებს.

BTU-ს ტრენინგ ცენტრი

- BTU-მ საქართველოში ინოვაციებით, ტექნოლოგიებითა და მეწარმეობით დაინტერესებული ქალებისთვის Techwomen community დააფუძნა. ინიციატივა გააერთიანებს უფასო გადამზადების კურსებს, იდეათონებს, ჰაკათონებს, მეწარმეობის ბანაკებს, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრებს, ქალთა კარიერული ზრდის ხელშეწყობასა და მათი პროფესიული ქსელის გაძლიერებას.

- BTU-სთან თანამშრომლობით საქართველოში მსოფლიოს წამყვანმა ფრანგულმა მოდის ინსტიტუტმა, ESMOD-მა დაიწყო ოპერირება. თანამშრომლობის ფარგლებში მოდის და ინოვაციების, მოდის მარკეტინგის და მენეჯმენტის, თანამედროვე ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებებით საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსები ხორციელდება. კურსების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები, ვორქშოფები და ღონისძიებები ჩატარდა, მათ შორის ალბან ადამის მასტერკლასი.

- BTU-სა და Oxford-ის უნივერსიტეტის Fintech & Legaltech Society-ს შორის პარტნიორობის შესახებ შეთანხმება შედგა.

- BTU კვლევების პროცესში MIT-ის მიერ შექმნილ GENAI პლატფორმა ORBIT-ის გამოყენება დაიწყო, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, MIT ORBIT-ის პლატფორმა უკვე ქართული სტარტაპებისთვისაა ხელმისაწვდომი.

- გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) პარტნიორობით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა (BTU) საქართველოში ახალგაზრდებისთვის სოციალური ინოვაციების და მეწარმეობის პროგრამა (UPSHIFT) განახორციელა.

- BTU მუშაობს HumanOS პლატფორმაზე - ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც ხმის მეშვეობით კითხულობს ადამიანის ქცევას.

- საქართველოში პირველი XR LAB BTU-ს ახალ კამპუსში დაფუძნდა. უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია აერთიანებს ვირტუალური რეალობის სათვალეებს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილ საგანმანათლებლო მასალას, დარგის წამყვანი გერმანელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ ვირტუალურ სასწავლო რესურსებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლებისთვის, კვლევისთვის და ახალი, ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის. ლაბორატორიით სარგებლობას უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და პარტნიორები შეძლებენ.

XR LAB

- BTU Jobs & Internships Database - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის შეიქმნა ერთიანი ბაზა დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გასაერთიანებლად.

- შემუშავდა სტუდენტების ყოველკვირეული საინფორმაციო ნიუსლეთერი - BTU Weekly Career Digest.

- შემუშავდა კურსდამთავრებულების ყოველთვიური საინფორმაციო ნიუსლეთერი - BTU Alumni Monthly Career Digest.

- სტუდენტებისთვის გაიმართა დასაქმების ფორუმები, რომელშიც 20+ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებდა მონაწილეობას.

- ახალი სტუდენტური პროექტის “Industry Insight Series” ფარგლებში, დაორგანიზდა სტუდენტების ვიზიტები კომპანიებში: Meama, Leverx, Loialte.

- ჩატარდა საინფორმაციო სესიები სტუდენტებისთვის, სადაც კომპანიებმა სტუდენტებს დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობები გაუზიარეს. ჩართული კომპანიები: Diplomat, Accelera, Normativo, DataArt, Buildy, Happtic, Inner, Podic, Ai2Business, Epam, GAIA, Zoomer, TBSC, Exadel, Scrollex, EY, Moore abc, Global Benefits Georgia, Grant Thornton, Zoomer, Leverx, Syntax, Flowmaster.

- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს გაუზიარდათ 1000-ზე მეტი დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობა.

- BTUAI Summer Sessions - ახალი ინიციატივის ფარგლებში დაინტერესებული კომპანიის წარმომადგენლებისთვის, მიმართულების მიხედვით, დაორგანიზდა 7 თემატური სესია, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.

- Women in AI - პროექტი დასრულდა. პროექტის ფარგლებში პირველი და მეორე ნაკადის 200-მა ბენეფიციარმა ხელოვნური ინტელექტისა და ვებ დეველოპმენტის მიმართულებით 9-თვიანი გადამზადების კურსები გაიარეს.

- BTU-მ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში“ - მეორე ფაზა 100 მენტორის და 350 ბენეფიციარის გადამზადებით დაასრულა.

- BTU-ში გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით ოფიციალურად გაიხსნა ბავშვის უფლებათა ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების პოპულარიზაციას.
- BTU-მ და წამყვანმა გლობალურმა ინოვაციურმა ორგანიზაციამ Rainmaking Innovation Europe-მა დაიწყეს პარტნიორობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებასა და ახალგაზრდების — სტუდენტების, მეწარმეებისა და ინოვაციური იდეების ავტორების — მხარდაჭერას.
- BTU-ში საქართველოში პირველი, ინდუსტრიული სადოქტორო პროგრამა ბარ-ილანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შეიქმნა და BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ აკადემიური ხარისხი ორივე უნივერსიტეტისგან, ჩაერთონ ინდუსტრიულ კვლევით პროექტებში და იმუშაონ ისრაელის წამყვანი მეცნიერების ხელმძღვანელობით.
- BTU-ში ყოველწლიური პრე-აქსელერატორის დემო დღე გაიმართა, რომლის თემაც წელს ხელოვნური ინტელექტი იყო. გამარჯვებულ სტარტაპს BTU-სგან გრანტის სახით 10,000 ლარი გადაეცა.
- ახალი საგანმანათლებლო ინიციატივა - BTUAI4GLOBE და „კოკა-კოლა განათლებისთვის." ინიციატივის ფარგლებში შეიქმნა 20 ინტერაქციული ვიდეო ბავშვებისა და მოზარდებისთვის ხელოვნურ ინტელექტსა და ციფრულ უსაფრთხოებაზე.
- საქართველოდან მსოფლიოში - AI წიგნიერების პირველი საერთაშორისო პროექტის, AI4Globe-ის ფარგლებში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში განხორციელება დაიწყო. ინოვაციური საგანმანათლებლო ჰაბის - Gov Campus-ის მიერ, საგანმანათლებლო მასალის არაბულ ენაზე თარგმნა, მულტიმედია მასალის გაზიარება და BTU-ში ინიცირებული კამპანიის განხორციელება დაიწყო.
- BTU-მ გერმანიის 19 უნივერსიტეტის რექტორების და პრეზიდენტების დელეგაციას უმასპინძლა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია. შეთანხმების ფარგლებში შედგება ტექნოლოგიების სფეროში ახალი პარტნიორობა, ახალი პროექტები, პროგრამები და ინოვაციური ინიციატივები.
- BTU-მ ბოლონიის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობა, მათ შორის რეგიონში პირველი კვანტური კომპიუტერის შექმნა.
- BTU-ში საერთაშორისო ჰაკათონი Global Game Jam გაიმართა, ჰაკათონზე 300-ზე მეტი მონაწილე დარეგისტრირდა საბოლოოდ კი 14 გუნდი ჩამოყალიბდა.
- BTU-სთან პარტნიორობით, საქართველოში iamtheCODE-ის წარმომადგენლობა გაიხსნა, iamtheCODE-ის პლატფორმა 60 000 კურსს აერთიანებს 18 ენაზე, რომლებიც საქართველოში მცხოვრები 200,000 ქალისთვის, ბავშვისთვის და მოზარდისთვის სრული დაფინანსებით გახდა ხელმისაწვდომი. თანამშრომლობის ფარგლებში BTU-ში ქალებისთვის საერთაშორისო AI ჰაკათონი გაიმართა.

BTU რიცხვებში

- BTU-ში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი **12 728**-მდე გაიზარდა.
- BTU-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა **541**-მა სტუდენტმა დაამთავრა.
- BTU-ს აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდი **439** ადამიანს აღწევს.
- BTU-მ თანამშრომლობა დაიწყო 50-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციასთან.
- BTU-მ საქართველოში მცხოვრები ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატისთვის მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კურსები, ტრენინგები და პროექტები განახორციელა.
- BTU-ს **100**-მდე სტუდენტმა განაგრძო სწავლა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული სემესტრული ან/და ორი სადიპლომო პროგრამების ფარგლებში და მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სკოლებში.
- BTU-ს 50-ზე მეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ეწვია პარტნიორ უნივერსიტეტებს მოკლევადიანი სრულად დაფინანსებული ვიზიტების ფარგლებში.
- უწყვეტი განათლების პროგრამაში ჩაერთო **89** კურსდამთავრებული, მათ მიერ არჩეული ჯამური სასწავლო კურსების რაოდენობა - **192.**
- ჩატარდა ინდივიდუალური კარიერული საკონსულტაციო შეხვედრა **150**-მდე სტუდენტთან.
- ყველა პროგრამის მიმართულებით ჩატარდა 100-მდე ტრენინგი, ვორქშოპი და მასტერკლასი.

ახალი ფაგმანური ინიციატივები

ერაზმუს+ უმაღლესი განათლების ინსტიტუციური განვითარების პროგრამა: ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების დიგიტალიზაციაში/Introduction of Innovative Technologies in Digitalization of Technological Processes and Production (DIGITECH) - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ ვირტუალური გაცვლითი პროგრამები: ვირტუალური ინოვაცია და ტრენინგი აკადემიური ლიდერობის, ციფრული კომპეტენციებისა და კვლევის განვითარებისთვის/Virtual Innovation and Training for Advancing Faculty Leaders, Digital Competencies and Research Excellence (VITAL) - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ ვირტუალური გაცვლითი პროგრამები: კვლევისა და ინოვაციების განვითარება უმაღლეს განათლებაში ვირტუალური გაცვლების მეშვეობით/Advancing Research and Innovation in Higher Education through Virtual Exchanges (ARIVE) - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ პროფესიული განათლებისა და ტრენინგების პროგრამები: ქალთა მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოში სპეციალიზირებული პროფესიული განათლებისა და ტრენინგების მეშვეობით/Enhancing Women Entrepreneurship in AGRIculture in Georgia through targeted Vocational Education and Training (AgriVET) - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ პროფესიული განათლებისა და ტრენინგების პროგრამები: პროფესიული განათლებისა და ტრენინგების სისტემების გაძლიერება სომხეთსა და საქართველოში უნარების განვითარებისა და სამუშაო ძალის მხარდაჭერის მიზნით/Strengthening VET systems in Armenia and Georgia for skills and workforce Development (VET Caucasus) - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული **44 ერაზმუს+ KA171** პროექტები.

საქართველოს ტექ ოლიმპიადების ჰაბი - მხარდაჭერილი TBC ბანკის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (საქართველო), საქართველოს ICT ასოციაციის, BLOX-ის, LINEATE-ისა and EPAM-ის მიერ.

განხორციელებული და მიმდინარე მასშტაბური პროექტები

ქალები ხელოვნურ ინტელექტში - მხარდაჭერილი გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს მიერ.

ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში - მხარდაჭერილი ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ უმაღლესი განათლების ინსტიტუციური განვითარების პროგრამა: 3E-პარტნიორობა (3E-Partnership) - ევროპული ენერგოეფექტურობა საქართველოს, აზერბაიჯანსა და უკრაინასთან ურთიერთსასარგებლო პარტნიორობისთვის - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ჟან მონეს მოდული: ევროკავშირი ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკისთვის - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ერაზმუს+ კოოპერაციული თანამშრომლობა: დიზაინ ფიქრი, როგორც უმნიშვნელოვანესი და ციფრული უნარების განვითარების მეთოდი უმაღლეს განათლებაში დასაქმებადობის გაზრდის მიზნით - თანადაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული **29 Erasmus+ KA171** პროექტები.

სოციალური ინოვაციისა და მეწარმეობის პროგრამა (UPSHIFT) - დაფინანსებული და მხარდაჭერილი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ.

იმერსიული სწავლება მეტავერსში (iMERGE) - დაფინანსებული და მხარდაჭერილი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს ბიუჯეტიდან.

ევროპული, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქსელი ციფრული განათლების გაფართოებისათვის (E-CANDEE) - დაფინანსებული და მხარდაჭერილი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს ბიუჯეტიდან.

უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა (UCBP) - დაფინანსებული აშშ-ის საელჩოს, ხოლო ადმინისტრირებული საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ.

Tech Women Community - მხარდაჭერილი გაეროს ქალთა ორგანიზაციის (საქართველო), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და D Block-ის მიერ.
iamtheCODE საქართველოს წარმომადგენლობა - მხარდაჭერილი iamtheCODE გლობალური მოძრაობის მიერ.